


# "ყაზტრანსგაზ-თბილისი" გაიყიდა



ყაზტრანსგაზ  
თ ბ ი ლ ი ს ი  
ს ი თ ბ რ დ ა მ ბ რ ა ნ ვ ე ლ ო ბ ა

KazTransGas  
T B I L I S I

„ყაზტრანსგაზ - თბილისის“  
მფლობელი მარშალის კუნძულებზე  
რეგისტრირებული კომპანია  
„ვოლთბეი“ გახდა.

ცვლილება საჯარო რეესტრის მონაცემებში უკვე აისახა. შეიცვალა კომპანიის გენერალური დირექტორიც. სანჯარ შოკატაევი ნიკოლოზ ჭიაურელია შეცვალა.

ყაზახი ინვესტორების გასვრას წინ „ყაზტრანსგაზის“ და საქართველოს მთავრობას შორის არსებული საარბიტრაჟო დავის მორიგებით დასრულება უძლოდა. ინვესტორი 187 მილიონი ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. მორიგების დროს, მთავრობამ კომპანიას არსებული დავარიანება ჩამოაწერა, თავის მხრივ ინვესტორმაც “ყაზტრანსგაზ- თბილისი” კომპანიის წინაშე არსებული დავარიანებისგან გაათავისუფლა.

*“სამოგადოების ინფორმირებისთვის კომპანია საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით წილის შექმნა ყაზახური მხარის მიერ გასხვისების პროცესის ტექნიკური ნაწილის გამარტივების გამო მოხდა და ჯგუფი შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის წილის საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაზე გადმოცემას უახლოვეს მომავალში განახორციელებს.*

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლიდან, საქართველოს მთავრობასა და ყაზახურ კომპანიას შორის საერთაშორისო არბიტრაჟში დავა მიმდინარეობდა. დავის საგანი, ყაზახური მხარის მოთხოვნის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება გახლდათ, რომელიც 486 მილიონ ლარს აჭარბებდა. ამასთან ერთად, იბრძებოდა შპს აზტრანსგაზ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავარიანება, რომელიც 96 მილიონი

ღარი შეადგინა. დამატებით, 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შპს ყაბტრანსგამ-თბილისს, მფლობელი ყაბახური კომპანიების წინაშე, 347 მილიონ 721 ათას 491 ღარის ოდენობის დავარიანება ერიცხებოდა.

კომპანია WALT BAY LTD-ს მიერ ყაბახი ბიზნესმენებისთვის, შპს ყაბტრანსგამ-თბილისის ნასყიდობათვის, წაყენებული წინაპირობა გახდათ შპს ყაბტრანსგამ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული ვადებულებებისგან გათავისუფლება და ყაბახი კრედიტორების მხრიდან ყაბტრანსგამ-თბილისისთვის ნასესხები 347 მილიონ ღარზე მეტი დავარიანების მოთხოვნის უფლების WALT BAY LTD -სათვის დათმობა, რაზეც ყაბახურმა მხარემ თანხმობა განაცხადა. თუმცა, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ, ყაბტრანსგამ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავარიანების პატიების სანაცვლოდ, ყაბახური მხარისგან საერთაშორისო არბიტრაჟში არსებული საქმის საქართველოს სასარგებლოდ მორიგებით დასრულება, ხოლო კომპანია WALT BAY LTD-ს დათმობილ 347 მილიონ ღარზე მეტ მოთხოვნაზე უარის თქმა მოითხოვა, რაც საქართველოს მთავრობის განმარტებითვე, მომხმარებელთა დაცვას ემსახურებოდა. კომპანია WALT BAY LTD-მ და ყაბახმა კრედიტორებმა საქართველოს მთავრობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადეს, რის სანაცვლოდაც შპს ყაბტრანსგამ-თბილისი გათავისუფლება სახელმწიფოს წინაშე არსებული ვადებულებებისგან.

კომპანია WALT BAY LTD მზადაა მის წინაშე არსებული გამომწვევებისა და დაკისრებული სოციალური პასუხისმგებლობისათვის, რაც მოსახლეობის ბუნებრივი აირით ხარისხიან და უსაფრთხო მომარაგებას გულისხმობს,"- წერია ოფიციალურ განცხადებაში.